№ 61. 19 მარტი, ოთხშაბათი. 1866—1880 19 მარტი, ოთხშაბათი. № 61

ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია

[illegible] მეიდანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ ს. [illegible] სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროების“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“ - „Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

	წელიწადში.	6 თვეს:	3 თვეს
„დროება“-„ივერია“ ერთად	13 მან.	7 მან.	4 მ.
ცალკე „დროება“	9 მან.	5 მან.	3 მ.
„ივერია“	6 მან.	4 მან.	2 მ.

ცალკე ნომერი, „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებრივის ასოებით [illegible] ასოზე ნახევარი კაპ. წვრილებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს რედაქცია გაასწორებს და გამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ტელეგრამები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურგი, 17 მარტს. გაზეთს „ბერეგში“ იწერებიან: სენატის გარდაწყვეტილებით, ნაფიც ვექილებს (პრისაჟნი პოვერენნებს) აღეკრძალებათ ამორჩეულ იქმნენ საპატიო მომრიგებელ მოსამართლეებად და აგრეთვე მომრიგებელთა კრებების (მიროვოი სიეზდის) აუცილებელ წევრებათ.

რუსის ფრანცუზულს ოფიციალურს გაზეთში დაბეჭდილია, ტყუილი არისო ის ხმა, ვითომც საფრანგეთში მყოფი რუსის ელჩი თ. ორლოვი იცვლებაო და იმას მაგიერად სხვა ინიშნებაო.

პეტერბურგის ბირჟა, 17 მარტს.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემისა	93	75
მეორესი	93	„
მესამესი	93	50
მეოთხესი	93	12
აღმოსავლეთის პირვ.	90	37
აღმოსავლეთის მეორე	90	50
აღმოსავლეთის მესამე	90	62
ოქრო, ½ იმპერიალი	7	79
ტფილისის სადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი	„	„

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი სესხის	225	25
მეორე სესხის	220	25

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	25	28	პენსი
ჰამბურგი	214	75	ცენტი
პარიჟი	265	75	სანტიმი
ვენა	127	50	პფენიგი
კავკასიის კერასინი	—	—	

პურის გაყიდვის გამო.

ტფილისი, 18 მარტს.

ჩვენი ოზურგეთელი კორრესპონდენტი გვაცნობებდა ამას წინათ, რომ, თუმცა ჯერ ჩვენში შიმშილობა არ არისო, მაგრამ ქალაქებიდამ მოდიან ჩვენს სოფლებში ვაჭრები (ჩარჩები), ჰყიდულობენ სიმინდს, ღომს და სხვა ხორაგეულს, ერთიორად აძლევენ ყველაფერშიო და ამის გამო შესაძლებელი არისო, რაც ხორაგი გვაქვს გაალაგონ და გურიაშიც ჩამოვარდეს შიმშილიო.

ამასთანავე კორრესპონდენტი აცხადებდა სურვილს ჩვენმა უეზდის უფროსმა მოახდინოს განკარგულებაო, რომ გარეშე ქვეყნებიდამ და ქალაქებიდამ მოსულ ხალხს, აგრეთვე სხვა სოფლის ხალხს, თუ იმათ მთელის სოფლის განაჩენი არა აქვსთ, არ მიყიდონ ხორაგეული.

გორის უეზდის უფროსს, თუ არ ვსცდებით, უკვე მოუხდენია ამ გვარი განკარგულება.

ამ გვარი განკარგულების მოხდენა, ცხადია, ძალ-დატანება არის ხალხისა. მაგრამ, ჩვენის აზრით, ზოგიერთს შემთხვევაში, განსაკუთრებით როდესაც რამდენიმე პირის ძალ-დატანება მთელი საზოგადოებისათვის არის საჭირო, ძალ-დატანება მაინც-და-მაინც დიდს შეცოდებას არ შეადგენს.

მართლა, ვინ არ იცის, რომ ჩვენებური ვაჭარ-ჩარჩები ყოველთვის ძალიან ხეირიანად სარგებლობენ ხოლმე სიძვირითა და ხალხის გაჭირებითა; ესენი მიდიან მიყრუებულ სოფლებში, ნახევარ ფასად ჰყიდულობენ იქ პურს, სიმინდს, ქერს, შინაურ ფრინველს, კვერცხს, ერბოს და სხვ., შემდეგ ჩამოაქვთ ქალაქებში და ერთიორად, ერთი-ოთხად ჰყიდიან.

ამ გვარად სოფლის ხალხსაც აცლიან ხელიდამ უკანასკნელ ხორაგეულს და ქალაქის მცხოვრებთაც სცარცვენ: მოგებაში კი მხოლოთ თვითონ არიან.

სხვა დროს, მოსავლიან წელიწადს ამ გვარი მოქმედება კიდევ ისე არ აზარალებს არც სოფლისა და არც ქალაქის ხალხს, როგორც ამისთანა დროს, ამისთანა გაჭირების დღეს, რომელიც ადგია ამ ჟამად ჩვენს ქვეყანას. სხვა დროს არც სოფლის ხალხია ისე გაჭირებული, რომ თითო-ოროლა გროშისთვის უკანასკნელი თავის საზრდო გაყიდოს და არც ქალაქის ხალხი — რომ მამა-სისხლათ იყიდოს ყველა ხორაგეული. ამიტომაც ამ ჩარჩების მოქმედება განსაკუთრებით ახლა შეიქნა საზარალო ჩვენის ხალხისათვის და ყურადღების ღირსი ჩვენის მთავრობის მხრით.

ამიტომაც არის, რომ ჩვენ თანაუგრძნობთ ბატ. გორის უეზდის უფროსის განკარგულებას, რომ სოფლის ხალხმა ქალაქელ ვაჭრებს ხორაგეული არა მიჰყიდოს-რაო, თუ არ უნდათო, რომ თვითონ მშივრები დარჩნენო.

აქვე ვინდა მეორე გარემოებაზედაც მივაქციოთ ყურადღება:

ამ უკანასკნელ დროს ხშირად გვესმის, ხაზინამ ამა-და-ამ სოფლებში დაარიგა პურიო, ამა-და-ამ საზოგადოებას ასესხაო, ამა-და ამას მიჰყიდაო, რუსეთიდამ პური მოდისო, ტამოჟნაში გაისყიდებაო და სხვ. და სხვ.

გვესმის, მაგრამ დაწვრილებითი და ნამდვილი ამბავი ამ საგნის შესახებ კი კაცმა არ იცის-რა. ურიგო არ

ფელტონი

სომხის მღვდლების კინკლაობა ბათუმში

დიდი ხანია განჰქრა ჩვენში ის ბედნიერი დღეები, როდესაც გონებით სინათლეს მოკლებულ ხალხში ჰქუხდა სამღვდელოების ხმა და ყველანი იმათგან ღებულობდნენ კეთილ მაგალითებს ღვთის, მოძმისა და მოყვასის სიყვარულისათვის. იმ დღიდან შეიცვალა ეს ყველასაგან სანატრი დღეები, როდესაც სამღვდელოების დასშიც გამოერიდნენ იმისთანა პირები რომლებიც სარგებლობდნენ ხალხის გონებითი სიბნელით და საეკლესიო იარაღებით, და ამის წყალობით ის ჩვენი სულიერი მამები თავუკუღმა ატრიალებდნენ ყველა წესებს, ხელმძღვანელობდნენ კერძო ინტერესებით და ხალხს კი სჩაგრავდნენ. სწორეთ ამის წყალობით არის, რომ დღეს თითქმის ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით იმისთანა ხალხს, რომელიც თავის ვინაობასაც რიგიანათ ვერ გაგაგებინებს, რომელიც უშიშრათ მოგიყვება დამტკიცებას, რომ სარწმუნოება . . . . მოგონილიაო. და იმ საბუთით გიმტკიცებს თავის აზრის შეუცდომლობას, რომ, ... ზოგიერთი პირი სამღვდელოსაგან იმ ნაირი ყოფა-ქცევით არ იქნებიან, რომ ის ჰქადაგებს ძმისა და მოყვასის სიყვარულს და თითონ ამის წინააღმდეგ ჩადისო; ჰქადაგებს საწყლის შემწეობას და შებრალებას და თითონ ამის წინააღმდეგ ატყავებს ხალხსაო; ჰქადაგებს კეთილ ყოფაქცევას და თითონ კი სულიერი მამა ჩადის სამარცხვინო საქმეებსაო.

თუ დაკვირვების თვალით დავაკვირდებით სამღვდელოებისა და ერის შორის განხეთქილებას, დიდ სამწუხარო მდგომარეობათ უნდა მიგვაჩნდეს ჩვენი სულიერი მამებისაგან ერისათვის იმ ნაირი მაგალითები, მით უმეტეს, რომ როდესაც ერთის ცის ქვეშ და ერთს სამშობლოში ვცხოვრობთ რამოდენიმე ტომის და სარწმუნოების ხალხნი, მაშინ ამ ნაირ საქმეს ის ნაყოფი ეძლევა რომ ჩვენი სარწმუნოება, ერთ მამულიშვილობას და გვაროვნობას გვავიწყებს და სარწმუნოების იარაღით ერთმანერთს ვსდევნით და სასიკვდილოთაც არ ვზოგავთ.

მოვა ის დრო, როდესაც ყველა დაინახავს იმათ ბრუდ ნაბიჯს... მაგრამ ჩვენში განათლების მძიმე ნაბიჯი იმ დროს ვერ დაუგვიანებს! მაშასადამე ღვთიური თუ არა კაცობრიული გულის ტანჯვა აავლებს ყველას, ვისაც კი ესენი ესმის და პირ-და-პირი მოვალეობაა, რომ ამ ძველისა და ახლის ცვლილების დროს ხალხი ერთიან კლდეზე არ გადაჰყარონ; და არავის უფლება არა აქვს, რომ ხალხის ბედის საკეთილ-დღეო კანონი და საშვალება ხალხისვე გასაცარცვათ და გასავერანებლათ მოიხმაროს.

დღეს ამ მძიმე საგანზე ორიოდე სიტყვის თქმის მიზეზი მოგვცა — ბათუმში სომეხთ გრიგორიანის ტერ-კონსტანტინ ტერ-სტეფანოვის და სომეხთ კათოლიკე მამა ფუჩინიანის მოქმედებამ.

ამ რამოდენიმე ხნის წინათ გარდაიცვალა უწყალო სიღარიბისაგან ერთი ტრაპიზონელი ქალი სომხის კათოლიკე; დარჩა სამი ობოლი და სიღარიბით წელში მოდრეკილი ქმარი.

ერთი ძუძუ-მწოვარი ქალი მიუბარებიათ ძიძისათვის, მეორე ახლო ნათესავისთვის, სამადლოთ შესანახავათ, და მესამე უფროსი ქალი (რომელიც, როგორც გვარწმუნებენ, ცამეტ-თოთხმეტი წლის ყოფილა) მამის თანხმობით და ეპისკოპოზი ზაქარიანის ნება დართვით, მღვდელ ფუჩინიანს ჯვარი დაუწერია ერთ არდანუჯელ ახალგაზდა კათოლიკე ვაჟზე.

ამ გათხოვილ ქალს ჰყავს დედის მხრით ბიძა, რომელზედაც ამბობენ, ცხოვრებას და ლოთობას ისე გაურყვნია, რომ თავის სიცოცხლეში რამდენიმე ჯერ შეიცვალა სარწმუნოება ხან სომხის კათოლიკობას, ხან სომეხ გრიგორიანობას და იმ უკანასკნელ ომიანობის დროს, მაჰმადის სარწმუნოებასაც კი ჩემობდა და თავის თავს უსეინას უწოდებდაო...

ეს პატივცემული ბიძა ემსახურება სომეხ გრიგორიანის მღვდელ ტერ-კოტეს ეკლესიაში.

ჯერ, როგორც ამბობენ ამ პატიოსან ბიძას ვითომც ეთხოვნოს თავისი ახალი მფარველის სულიერ მამისათვის (ტერ-სტეფანოვისათვის), რომ „იმას დარჩა სამი დის-წული ობოლი მცირე წლოვანები ობლათ და ღარიბათ და ერთს იმათგანს უფროს ქალს, რომელიც ბიძის ჩვენებით ვითომც ისე მცირე წლოვანი იყოს, რომ არც საეკლესიო და არც საერო კანონი

იქნება, ამის გამო რომ ყველა ამ გვარი განკარგულება მთავრობისა საქვეყნოთ იყოს გამოცხადებული; იყოს გამოცხადებული — თუ რომელის სოფლისათვის რამდენი ფუთი პური არის ხაზინიდამ გადადებული, თუ სად და რა ფასად ისყიდება ეს პური და სხვ.

განსაკუთრებით საჭიროა, რომ გასასყიდის და ხაზინიდამ გამოსულის პურის ფასი ყველამ იცოდეს, ყველას გამოეცხადოს მთავრობიდამვე, თორემ ვის არ მოეხსენება, რომ ამ გვარს შემთხვევაში ყოველთვის ადვილად მოსალოდნელია ბოროტად მოხმარება ხაზინის ქველ-განზრახვისა. ერთის სიტყვით, მთავრობიდგან ხალხს შემწეობა ეძლევა, აუცილებლად საჭიროა, რომ ეს შემწეობა სრულად და ხელ-უხლებელად მიაღწევდეს ხალხამდინ, რომ ამ საქმის თვალ-ყურის დამჭერად ისეთი პირები იყვნენ დანიშნულნი, რომელნიც დამშეულ ხალხის გაჭირებითა და უმეცრებით სარგებლობასა და თავის „ხელების მოთბობას" არ მოინდომებენ...

ახალი ამბები

—

ქალაქის გამგეობისაგან შედგენილის ამა 1880 წლის ტფილისის შემოსავალ-გასავლის ანგარიშს პროექტიდამ ვტყობულობთ, რომ ამ წელს ქალაქის ხაზინა 385,913 მანეთს შემოსავალს მოელის 406,048 მანეთს გასავალს.

ამ ანგარიშით წელს ქალაქის გასავალი 20,135 მანეთით გადაემეტება შემოსავალს.

⁂

გაზ. „ობზორში" იწერებიან, რომ ფულებს გარდა, რომელიც მთავრობისაგან დანიშნულია იმ მუშებისათვის, რომელნიც კალიის გასაწყვეტად იქმნებიან გამოყვანილნი, მთავრობა გამოიყვანს კიდევ სალდათებს ამავე საქმისათვისაო; მარტო ტფილისის გუბერნიაში კალიის გასაწყვეტად, მაგალითად, 2000 სალდათი იქნება გამოყვანილი და იმდენ ხანს იდგებიან ამ საქმეზე, სანამ საჭირო იქნებაო.

⁂

ზეგ, პარასკევს, 21 მარტს საზაფხულო თეატრში დანიშნულია ჩვენის ტრუპპის ერთ მოთამაშეთაგანის ზ. მაჩაბლის ბენეფისი. ითამაშებენ „ბაყრას" და „ადვოკატ მელაძეს."

ზ. მაჩაბელი მოცადინე, ერთ-გული აქტიორია და იმედი გვაქვს, რომ ამ ერთ-გულობისა და თავის მოვალეობის კეთილ-სინიდისიანად შესრულებისათვის საზოგადოება ღირსეულად დააჯილდოვებს იმას...

⁂

ჩვენი ბაზრებისა და მეიდნების ერთი უმთავრეს ნაკლულევანებათაგანი არის ფეხის-ადგილის უქონელობა. მარტო ერთ ადგილას, რუსის ბაზარში (იარმუკაზე) გამართა ქალაქმა საზოგადო ფეხის-ალაგი, მაგრამ ისიც ისე ბინძურად არის შენახული, რომ თუ არ ძალიან გაჭირებულ კაცს არ შეესვლება.

დანარჩენ მეიდნებს არც ერთს არა აქვს საზოგადო ფეხის-ადგილი და ამიტომაც ეს მაედნები ისე ბინძურები და აყროლებულები არიან და ყოველგვარი ავათმყოფობა, უეჭველია, აქედამ უნდა იწყებოდეს.

რამდენიმე პელაბრელის ვაჭრებისაგან მივიღეთ ჩვენ საჩივარი ქალაქის გამგეობაზედ, რომ ორმოცი დუქანი გააკეთესო ქალაქის სასარგებლოთაო და ამ ორმოც დუქანს არც ერთი ფეხის ადგილი კა არა აქვსო. ბევრს უნდა ამ დუქნების დაჭერა, მაგრამ საჭიროებისათვის არ იციან — სად წავიდნენ და ამის გამო ვერ იჭერენო; ნახევარ ვერსზე სანაგვე ადგილი არისო, მაგრამ იქ პოლიციის სალდათი დგას და არავის უშვებსო.

ვთხოვენ ქალაქის გამგეობის ყურადღება მიაქციოთ ამ გარემოებაზედ.

⁂

გუშინ, 17 მარტს, კავკასიის მთებიდამ მოვიდა ტფილისში ამბავი, რომ მლეთისა და გუდაურის სტანციებს შუა გზა გაკეთებულაო და სხვაგანაც იწმინდებაო ასე, რომ იმედია, ხვალ საღამოს ფოჩტა სიარულს დაიწყებსო.

⁂

შორაპნიდამ გვწერენ:

„ერთი საზიზღარი მკვლელობა მოხდა ამ დღეებში სოფელს რგანში: ამ სოფლის სასამართლოს სუდიამ ერთი ახალგაზდა თუთხმეტი წლის ბიჭი მოკლა. აი საქმე როგორ ყოფილა:

ეს სუდია, გვარათ კავთელაძე, ყოფილა გადაკიდებული ერთი გლეხი კაცის სამხარაძის ცოლზე. ხშირად დადიოდა თურმე ამ კაცის სახლში. სამხარაძემ მრავალჯერ იჩივლა ამაზედ სოფლის სასამართლოში, ხან მამასახლისთან, და ბოლოს ყრილობას განუცხადა ეს მისი გაუპატიურება. დონ-ჟუან სუდიას პირობა დაადებინეს, რომ იმ გლეხის სახლში მისვლა აღარ გაებიდა. მაგრამ, როდესაც საწყალი კაცი დაიგულა ტფილისში წასული, მივიდა ერთ ღამეს. ღამე იქ გაითია და დილაზე ფარულათ უნდოდა წამოსვლა; მაგრამ ამ ქალის მაზლმა ზემოხსენებულმა ბიჭმა დაინახა. კავთელაძემ უთხრა თურმე ამ ბიჭს: იცნობს ის მას თუ არა, ვინ არის? ბიჭმა უთხრა: „როგორ არ გიცნობ და კიდეც წარუდგენ შენ ხელწერილს მამასახლისს, როგორც დაბარება აქვს ძმისაგან". ამ სიტყვებზე აიღო თურმე იქვე დაგდებული ცული და ერთი შემოკვრით გააგდებინა თავი საცოდავს.

„კაცი დაჭერილია და გამოძიება დაწყებული."

პირუტყვთა დამცველი თელავის საზოგადოება

სხდომა 3 მარტს.

სხდომაზე დაესწრნენ: თელავის უეზდის უფროსი თ. ნ. ზ. ჩოლაყაშვილი, უეზდის წინამძღომელი თ. რ. ზ. ვახვახოვი, ტფილისის პირუტყვთა დამცველის საზოგადოების სეკრეტარი ნ. მესჩერსკი და ამას გარდა თორმეტი წევრნი დამაარსებელნი საზოგადოებისა.

სხდომა შუადღეზედ გაიხსნა.

წაიკითხეს აქტი თელავის პირუტყვთ დამცველი საზოგადოებისა, რომელზედაც თექვსმეტ წევრსა აქვს ხელი მოწერილი. წაიკითხეს ტფ. პირ. დამც. საზოგადოების წერილი თელავის უეზდის უფროსთან, რომელშიაც საზოგადოება სთხოვს, რომ თავის მფარველობა და შემწეობა არ მოაკლოს თელავის საზოგადოების განყოფილებას.

2) ტფ. პირუტყვთა დამცველ საზოგადოების სეკრეტარმა გააცნო აქ დამსწრეთ წესდება და საზოგადო მიზანი პირუტყვთა დამცველ საზოგადოებათა.

3) წესდების მესამე მუხლის ძალით,

ნებას არ აძლევდეს გათხოვებას, და უთხოვნია, რომ იმან მიიღოს თავის მფარველობის ქვეშ რადგანაც როგორც მრევლი, ისე სულიერი მამა . . . . არღვევს საეკლესიო და საერო კანონებსაც და მცირე წლოვანს აძლევს ქმარს."

ამ შემთხვევით და ქალის ქრმისა და მამის აქ უყოფნელობით ისარგებლებს მღვდელი ტერ-სტეფანოვი, წამოაყვანინებს ქალს მამის სახლიდან და მიაბარებს ვიღაც სომხის ოჯახობას, რომ ამ ჩვენმა სულიერმა მამამ როგორც საეკლესიო და სახალხო რჯულის კარგა მცოდნემ და კაცთ მოყვარემ დაიხსნას უმანკო სული იმ ნაირი უღირსებისაგან...

ამ დროს ბათუმიდამ ატყობინებენ ქალის მამას, რომელიც ფოთში ყოფილა სამუშაოთ წასული, რომ ძუძუ-მწოვარს უშოვნოს სარჩო, ძიძით გამოსაზრდელათ.

რამოდენიმე ხნის შემდგომ ჰბრუნდებიან ბათუმში ქალის ქმარი და მამა, და თხოულობენ, რომ იმათ თავიანთი შვილი და ცოლი დაუბრუნონ.

ამათ ორივეს, როგორც მრევლი ისე მღვდელი უარს ეუბნებიან, ზემო მოხსენებული მიზეზების თქმით, რომ ვითომც მცირე-წლოვანისათვის დაუწერიათ ჯვარი და არ დაუბრუნებენ იმისთანა ხალხს, რომლებიც არ იცვავენ არც ღვთიურ და არც კაცობრიულ მოვალეობას.

ჩამოვარდება დიდი შფოთი ორივე სულიერ მამებსა და ორი სარწმუნოების მრევლ შუა. საქმე იქამდი მიაღწევს, რომ ქალს ჰკითხონ სასამართლოში თავისი აზრი და სურვილი. ქალი აცხადებს მომრიგებელს მოსამართლესთან, ორივე მღვდლების და მთელი დამსწრე ხალხის წინაშე, რომ ის თავის ნამდვილ მამას მამათ არ ცნობულობს და ბიძაზე უთითებს ხელს, რომ ჩემი მამა ეს არისო და უარს აცხადებს, რომ ის თავის ქმარსაც არ იცნობს და არავის წაჰყვება თავის მამის (ბიძის) მეტ'!

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ ჯერ კიდევ ფანატიკოსს ხალხს ცოტაც ეყოფა მიზეზი, რომ თავის სარწმუნოების და უფრო თავმოყვარეობის დასაცველათ, ამისთანა საქმეში გამოიდოს თავი ყველა ნაირათ, რომ იმას არ მოსტაცონ შვილი სარწმუნოების გამოსაცვლელათ და, იმათის სიტყვებით, ჯოჯოხეთში ჩასაგდებათ, რადგანაც ცალკე აგონებდნენ, რომ ქალი უნდა გავასომხოთო ე. ი. უნდა სომხის გრიგორიანის სარწმუნოება მივაღებინოთო.

ადვილათ წარმოსადგენია, როდესაც ქალისაგან იმ ნაირი პასუხი მიიღეს და ერთმა მხარემ ის ეჭვიც შეიტანა, რომ ამას იმისთვის ჩადიანო, რომ უნდა გაასომხონო, რა გულების ფათქა-ფუთქი და ალიაქოთი ჩამოვარდებოდა! ამ დროს სასამართლოში შეიქნა არა-ჩვეულებრივი ხმაურობა და უწესოება.

მომრიგებელ მოსამართლემ შეამჩნია ხალხში მოძრაობა; იმისთვის ეთქვათ აგრეთვე, რომ სასამართლოს კარებთანაც იცდის, კეტებითა და რევოლვერებით დაიარაღებული ხალხი ქალის მოსატაცავათაო. ამის გამო მიიღო კეთილ-გონივრული ზომები და შეატყობინა პოლიციას, რომ „ქალი და წესიერება დაიცვანო ორი სულიერი მამის აღელვებული ხალხისაგან დაიარაღებული ხალხის გუნდისაგან."

მომრიგებელი მოსამართლის თხოვნით, პოლიციამ გამოგზავნა აფხოტი, რომელთაც გაჰფანტეს ხალხი სასამართლოს კარებიდან და, იმავე მოსამართლის თხოვნით, ქალი მიიყვანეს ნაჩალნიკის ბერსისსახლში.

მეორე დღეს, კვირას, ორივე სულიერ მამებს თავ-თავიანთ ეკკლესიებში მრევლისათვის გაუგონებიათ მკვახე და გრძნობიერის სიტყვებით, რომ „არ დაზოგონ თავიანთი თავი სარწმუნოების დასაცველათ."

ყველა ამ გარემოებას და ხალხის ღელვას მოახსენებს პოლიცია ღენერალ კამაროვს, რომელმანც იმ წამსვე დაიბარა თავის სახლში ორივე სულიერი მამები და თვითეული იმათგანი სარწმუნოებიდამ ოთხ-ოთხი დელეგატები ადგილობრივი მცხოვრებლებიდამ. ყველა ესენი იყვნენ თავმოყრილი თორმეტ საათზე პოლიციაში, და პოლიციამ გაუძღვა წინ და უკან, როგორც დამნაშავეებს, ამ ხალხში არეულ სულიერ მამებს და ისე წარუდგინეს კომაროვს.

როგორც ეტყობოდა და საფუძველიც ჰქონდა ღენერალ კამაროვს არ მოსწონებოდა და ძრიელაც სწყენოდა ამ ორი სულიერი მამების ჩადენილი საქმეები და იმათი მიზეზით ქალაქში მშვიდობიანობის და წესიერების დარღვევა იმათის მრევლისა-

კრებამ გარდაწყვიტა, რომ დროებითად შეადგინოს გამგეობა საზოგადოებისა სამის წევრისაგან: თ. რ. ვახვახოვისაგან, რომელიც თავსმჯდომარედ ამოირჩიეს, ა. პ. დობროვოლსკისაგან, რომელიც ხაზინადრად არის დანიშნული და ნ. ვ. მეხვარენოვისაგან, რომელიც სეკრეტრად დანიშნეს.

4) დაადგინეს, რომ საზოგადოება მუდამ თვის 15-ს, საღამოს შვიდ საათზე შეიკრიბება უეზდის უპრავლენიეში.

5) ხაზინადარმა თვეში ერთხელ უნდა წარუდგინოს კრებას საზოგადოების ხაზინის შემოსავლის ანგარიში.

6) საზოგადოების გამგეობას მიანდო: შეიძინოს ყოველ-გვარი კანცელარიის კუთვნილება, რაც კი საჭირო იქნება: წიგნები, დავთრები, ქაღალდი, ბეჭედი და სხვ., გამოიწეროს **„Вѣстникъ Россійскаго Общества Покровительства животныхъ** 1878, 1879 და 1880 წლებისა და იქონიოს კავშირი რუსეთის და თფილისის პირუტყვთა დამცველ საზოგადოებასთან.

7) წევრმა — დამფუძნებელმა ა. დობროვოლსკიმ გამოაცხადა, რომ საზოგადოებაში ჯერ-ჯერობით შემოვიდა საწევრო ფული ოც-და-ცხრამეტი მანეთიო.

8) წაიკითხეს შემდეგ წევრთ-დამფუძნებელთა: **ნ. ზ.** ჩოლაყაშვილი, **რ. ზ.** ვახვახოვი, ა. ტერ-საკოვი, ა. პიკნაძე, პ. სემენენკო, ი. ბოგუს, **ნ.** მეკარენოვი, **გ.** მაჭავარიანი, ა. მაყაშვილი, ა. დობროვოლსკი, **დ.** მესხიევი, **ლ.** ჯანდიერი, მ. ღლონტიძე, ა. აბხაზი, **დ.** ბუკურაული, ი. ხატიევი, მღვ. ი. შიუკოვი და გ. ანდრონიკოვი,

სხდომა მეორე საათის ნახევარზედ დაიხურა.

„დროების“ კორრესპონდენცია

ზაქათალიდგან, 12 მარტს. ამ ჟამად აქ საშინელი სიძვირეა, არამც თუ ხორაგეულისა, არამედ საქონლის ალაფისაც კი. ერთი ურემი თივა თუმნათაც არ იშოვება.

ჩამოგვცივდებია ეს ზამთარი, ხელს აღარ იღებს: აქამომდე საქონელი საძოვარზედ ვერ გადის სიცივის გამო. ვისაც ბლომათ ჰყავს ცხვარი ან ჯოგები ძროხისა სარჩოს ველარ შოულობენ და შიმშილის გამო პირუტყვნი ბლავილით იხოცება. ამას დაუმატოთ ისეც, რომ ამ ჟამად საქონლის მოგების დროა. მოხუცებულები ამბობენ, ეს ზამთარი სამი იმოდენა გრძელი ზამთარია, რაც აქამომდე ჩვენ გვინახავსო: ვისაც უწინდელ წლებში ერთი ურემი თივა ჰყოფნიდაო, ახლა სამიც არ გაწვდებაო.

ხორაგეულის სიძვირეზედ რაღა მოგახსენოთ, როცა აქ სრულიად არ იშოვება; თუ სადმე იშოვება, ისეც თალარი პურისა 22 მან, ფუთი სამ მანეთად; ფეტვი 16 მან. ბრინჯი ფუთი თექვსმეტ აბაზათ, ქერი ხომ სრულიად არ იშოვება, ფოჩტის მეიჯარადრეს ქალაქიდგან გამოუწერია.

ღარიბ სოფლელების და მოქალაქეების მდგომარეობა შიმშილობის გამო საშინელებაა: არც ფულები აქვთ, არც სამუშაო, საქმე იშოვება. ბევრნი შეხაროდნენ ბატ. ნესნეროვის ფიცრის სახერხ ქარხანაში საქმის შოვნას, ისეც, ადგილობრივი ადმინისტრაციის მოწყალებით, სულ უბრალო მიზეზების გამო ჩაკეტილია. ამ დღეებში ღარიბი მოქალაქეები წავიდნენ თურმე ადგილობრივ უფროსთან, შესჩივლეს, შიმშილით ვიხოცებითო, გვიშველეთ რამეო. მაგრამ ჯერ არაფერი შემწეობა აღმოუჩენიათ.

ბევრს სურს სახლების გაშენება მაგრამ აქაც აღმოჩენილა ვიღაც ხათაბალა მეპლანე, რომელიც პლანზე სამ თუმანს არ ჯერდება. ვისთან წავალთ?

ვისაც შეძლება და შველა შეუძლიან ამ გაჭირებულ მდგომარეობაში, გადაბმიან ერთმანეთს მაძღარი, ლომის ერთმანეთი შეშჭამონ; მშიერ ღარიბ ხალხის შველაზედ ყურებსაც არ იბერტყენ.

რა იქნებოდა, რომ ვისმეს ეყიდნა სადმე ხორაგეულობა და ჩამოეტანა თუნდ სოფლებიდგანაც აქ გასასყიდლად,—განა წაგებაში იქნებოდა? არა გვგონებთ..

ზაქათლელი

თეატრი

ქართული წარმოდგენა

14 მარტს.

თ. გიორგი ერისთვის ყველასაგან კარგათ ცნობილი კომედია „ძუნწი“ და **ივ.** მაჩაბლისაგან ახლად ფრანცუზულიდამ გადმოღებული ორ-მოქმედებიანი კომედია-ფარსი „ადვოკატი მელაძე“ წარმოადგინეს.

„ძუნწის“ შესახებ იმის მეტი, რაც ამას წინათ ვთქვით, არა გვაქვს-რა სათქმელი; **ვ.** აბაშიძე ძუნწის როლში ისეთივე ნიჭიერი და ხელოვნური იყო, თუ უკეთესი არა, როგორც ადრე. ეს ჩინებული მოთამაშე სრულებით სამასხარო დასაცინლო კაცად არ წარმოგვიდგენს ძუნწს; იმის ძუნწს სიძუნწე თითქო ავათმყოფობად, ძვალსა და რბილში გამჯდარ ვნებად გარდაქცევია, და ამის გამო იმის ხასიათში, **ვ.** აბაშიძის თამაშით, სასაცილო მხარეები კი არა, უფრო დასაფიქრებელი მხარეები იხატება.

„ადვოკატი მელაძე“—ნამდვილი ფარსია. აზრი და შინაარსი, როგორც საზოგადოთ ფარსში, ამ პიესებში არ მოიძებნება; მიგიერად სცენიკურის მხრით და სიცხოველით ეს პიესა არ ჩამოუვარდება უკან არც ერთ პიესას, რომელიც კი ჩვენს სცენაზე ოდესმე უთამაშნიათ.

პიესის შინაარსი ორის სიტყვით გამოითქმის:

ერთს გაიძვერა ადვოკატს, რომლის მსგავსნი ჩვენშიაც, განსაკუთრებით პატარა, პროვინციალურ ქალაქებში ცოტანი არ მოიპოვებიან, ჩაუვარდება ხელში ერთი მოჩივარი გლეხი და ჰკისრულობს იმის დაცვას. დარიგებას აძლევს, როცა მოსამართლემ გკითხოს, ყველაფერზე „ბე! ბე!“ უთხარიო, რომ ვითომც შენ ცხვრების პატრონმა იმდენი გცემაო, რომ ენა ჩაგივარდაო. ამ საშუალებით გაიმართლებ თავსაო. მწყემსი მართლაც ასე მოიქცევა და გაიმართლებს თავს. მაგრამ როცა საქმე იმაზე მივარდება, რომ ადვოკატს თავის „შრომის ფასი“ მისცეს, ამავე იარაღით უხვდება იმას, როცა ის (ადვოკატი) ფულის თხოვნას დაუწყებს, „ბე! ბე!“ შესძახებს, არაფერს არ აძლევს და გაიქცევა გარეთ.

აი სულ ეს არის შინაარსი. მაგ-

გან. ამის გამო უთხრა ამ დელეგატებს: „ისინი იმისთვის არა ჰყავს მიწვეული, რომ საქმე გაარჩიოს, ან იმათ აზრი და შეხედულება ჰკითხოს; მარტო ის სთხოვს მ. ტერ-სტეფანოვს, აუხსნას ის, რის მოწამეა ამ საქმეში!

მღვდელმა ტერ-სტეფანოვმა დაიწყო მოხსენება დაწვრილებით, რომ: „იმ ქალის ბიძა არის სომხის კათოლიკე, მაგრამ, რადგანაც ის ეკუთვნის ნაციით სომეხს, ის ემსახურებოდა და შველოდა იმას ეკკლესიაში, და ერთ ღამეს შეატყობინა, რომ სომხის კათოლიკის მღვდელი ფუჩინიანი, იმის მცირე-წლოვან; დედისაგან ობლად დარჩენილ დისწულ ქალს —ძალით ათხოვებს ერთ ახალგაზდაზე და ისიც (ტერ-სტეფანოვი), ამ ბიძის თხოვნით, ატყობინებს თავის მრევლს და ესენი ყველა ერთად დაინახავენ საუმჯობესოთ, რომ ქალი მამის ოჯახს მოაცილონ, და ბიძას მისცენ სარჩენათ, და როცა ქალი სრულ-წლოვანი შეიქნება, მაშინ მისცენ ქმარს...“

ღენერალ ქამაროვმა შეაწყვეტინა ლაპარაკი ტერ-სტეფანოვს და გაუმეორა ბრძანება, რომ იმას არ სურს საქმის გარჩევა, არც იმისთვის მიუწვევია ისინი, და აღარც საჭიროებს, რომ იმან განაგრძოს თავის ლაპარაკი. უბრძანა სულიერ მამებს და იმათ წარდგენილ დელეგატებს დაახლოებით შემდეგი სიტყვები:

—თქვენ ყველას უნდა გესმოდესთ, რომ არავის უფლება არა აქვს, თავისი სურვილით და წესით გაარჩიოს რაიმე საქმე. ამისათვის აქვს რუსეთს კანონი და არის სასამართლოები და ამისათვის ჰყავს მოსამართლეები. თუ ვინმე არის დამნაშავე, იმისთვის არის კანონი. ჩემთვის სულ ერთია—თუ გინდ ფუჩინიანს დაეწეროს ჯვარი უსუსური ყმაწვილისათვის, ის იქნება კანონის წინაშე პასუხის მგებელი. არავის უფლება არა აქვს დაარღვიოს ხალხის მშვიდობიანობა და წესიერება, და მომატებულათ სასამართლოს წინ შფოთი ჩამოაგდოს. გიბრძანებთ და გიცხადებთ ყველას და თქვენც, სულიერო მამებო, რომ, თუ კიდევ გაგიბედნიათ ამ საგანზედ თუ გინდ სამ კაცსაც ერთად თავ-მოყრით სჯა, მე აგერ უბრძანებ თქვენთანვე პოლიციას, რომ მღვდლებიც ჩასვან საპყრობილეში და თქვენც, მსხოვრებლებო. იცოდეთ, რომ მაგ წაირი დანაშაულისათვის ბორკილებით გაგზავნით აქედამ... ასე გარდაეცით დანარჩენებსაც... მე უბრძანებ მამასაც ბიძასაც, რომ მიიქცნენ მომრიგებელ მოსამართლესთან, რომ იმან გაარჩიოს საქმის გარემოება... ამასთანავე მე უბრძანებ პოლიციას რომ მოახდინოს განკარგულება, საქმის გარჩევამდი ქალი დაიცვას თქვენ ორივეს ხელიდგან.

სულიერ მამებმა ამნაირ მოულოდნელ ღენერალ ქამაროვის პასუხზე ჩამოჰყარეს ყურები და მადლობა გარდაუხადეს, რომ ის თავის მფარველობის ქვეშ შეინახავს ქალს საქმის გარჩევამდი, და გამობრძანდნენ თავიანთი დელეგატებით გარეთ.

ნათქვამია: „როცა ურემი გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო“. ამ ანდაზისა არ იყოს, ეხლა ამ ორი სულიერი მამების ერთმანერთშორის უკმაყოფილებით შეტაკებამ ბევრი საინტერესო რამეები გაგვაგონა იმათ მოქმედებაზე. „ვაი თვალსა და ვაი ყურსო“—რომ იტყვიან, სწორეთ იმისთანები.

ერთი პარტია ამტკიცებს რომ ტერ-ფუჩინიანს ჩაუგდია ყველაფერი უპატრონოთ ხელში და ეკკლესიაც და ხალხსაც არ ზოგავსო, ეკკლესიის შემოსავალით თითქმის მერვედი ნაწილი ბათუმის საუკეთესო ადგილებისა ნასყიდი აქვს და ძმებზე დაუმტკიცებია და არავის არ აძლევს ანგარიშს და რაც უნდა იმას ჩადისო.

მეორე პარტია ამბობს, რომ ტერ-სტეფანოვის ჩადენილი საქმეები არა თუ სულიერ მამას, ერის კაცსაც კი არ შეშვენისო, თავისი მრევლის წინაშე ილანძღებაო, დილიდან საღამომდი დუქანში თამაშობს; ყოველ დღე სტუმრებით სავსე აქვს სახლი, ბახუსს თაყვანს სცემსო: ფოთის ეკკლესიაც შეაწუხაო; გაზეთებშიც დაუმტკიცეს და ახლა აქ მოსულაო...

ჩვენ ყველა ამაზე ჯერ-ჯერობით არაფერს ვიტყვით და მოუცდით ვიდრე ზემო-ხსენებულ საქმეს მომრიგებელი მოსამართლე გაარჩევდეს; მაშინ კი ვეცდებით, რომ მკითხველებს უფრო დაწვრილებით და ნამდვილათ გავაცნოთ საქმის გარემოება, ამ ჩვენი ყოვლად პატივცემული ორი სულიერი მამების კინკლაობის მიზეზიც და მოტანილი სარგებლობაც.

კრაზანა

ბათუმი, 9 მარტს.

რამ ბევრი ისეთი სასაცილო სცენებია, მაგ. როცა ადვოკატი ვექილს სატანისამოსე მაუდს გამოსტყუებს, როცა ის სიგიჟეს მოიგონებს, რომ კაცს მუცელზე ხელის დაჭერა უნდა, რომ არ გასქდეს სიცილისაგან...

ადვოკატის როლი ისეთი სასაცილო როლია, რომ თუ აქტიორს ცოტაოდენიც არის კომიკური ნიჭი აქვს ადვილად შეუძლია შეასრულოს. ქ. მესხმა ეს როლი ურიგოთ არ ითამაშა.

დანარჩენ მოთამაშეებთაგანშიაც არც ერთს არ წაუხდენია თავის როლი.

ამ ჯერობით ძალიან ცოტა საზოგადოება იყო თეატრში, იმედია „ადვოკატს მელაძეს" მეორეთაც ითამაშებენ.

თფილისის სამკურნალო

ავათმყოფებს მიიღებენ დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი გავრონსკი—ქალის ავათმყოფობისა, ლისიცევი—შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი—ქალისა და ყმაწვილების ავათმყ., ქიუხარიანცი—სირურგიულ და თვალის ავათმყოფობ., ბაბაევი—ნერვების ავათმყ., და შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

სამშაბათს: ექ. მინკევიჩი — სირურგიულ ავათმყოფ., ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეისი—თვალისა, ბაბოვი—გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბასტუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილის ავათმყოფ., ვერმიშევი—შინაგანის ავათმყოფობის.

ოთხშაბათს: გავრონსკი—ქალის ავათმყოფ., ლისიცევი და რუდკოვსკი—შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი—ქალის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის, ზომერანცოვი—გულის.

ხუთშაბათს: ჟურავლევი—ყელისა და გულის ტკივილის, როტინიანცი ქალისა და ყმაწვილის ავათმყ., ქიუხარიანცი — ვენერიულ და საშარდე ასოების ავათმყოფ., ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: გავრონსკი — ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი — სირურგიულის, ლისიცევი—შიგნეულის, ბასტუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილების, ბაბოვი—ნერვების და შიგნეულების, ასტვაცატუროვი—ვენერიულ და კანის, შტემბორსკი — ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

შაბათს: ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა, რეისი—თვალის ბაბოვი—გულისა და შიგნეულების და ვერმიშევი—შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი ბაბაევი მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დმ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი).

დოქტორი ჟურავლევი მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდინ სამკურნალოშივე.

კბილის ექიმი ოსრესტი ავათმყოფებს, ვისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპ., ზარათოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდინ სამკურნალოში არის ბებია ავათმყოფი ქალებისათვის.

განცხადებანი

გრამატიკა

მოკლე სქემა პირველის ნაწილის გრამმატიკისა, რომელიც აჩვენებს ყრმათა მაგალითს და ადვილად დანერგისათვის განყოფილებათა მათისა მოკლედ, რომლითაც უადვილესად შესაძლოა ამის გულის-ხმის ყოფა გულთა შინა.

შედგენილი თ. რაფ. ერისთვისაგან

ფასი 20 კაპეიკი.

(3—1)

რედაქციისაგან

„დროების" რედაქცია უცხადებს თავის მრავალ ხელის-მომწერლებს, რომ, რადგან იანვრისა და თებერვლის ნომრები მეტი აღარ დარჩა რედაქციაში, ამის გამო დღევანდელი დღიდან ხელის-მოწერა გაზეთზე შეიძლება მხოლოთ პირველის მარტიდამ.

1 მარტიდამ წლის დამლევამდინ გაზეთი ღირს 8 მანეთად.

იყიდება არწრუნის ქარვასლაში ინგლისის მაღაზიაში: პალტო 12 მანეთიდამ 24-მდინ, მთელი წყვილი ტანისამოსი 5-დამ 25-მდინ; ტრიკო, ბუმაზეია და პარუსინა ახლა 75 კაპ. არშინა და დრაპი 2 მანეთიდამ; პოლნოსები, გასაღებები 10 კაპ., წყლის დასაწმენდი ქვები 4—40 მან., თოფები უკანიდამ გასატენი 35 მანეთი და მეტი; ჩულქები და წინდები 8 მან., ჟუნაგირები—25 მანეთი და მეტი, 25,000 გირვანქა ჩაი პირ-და-პირ კიახტიდამ 1 მან. და 10 კაპ. და საუკეთესო 2 მან. გირვანქა, დიდძალი კრავატები 5 მანეთიდამ 75 მანეთამდინ; საუკეთესო ხერესი 1 მან. 40 კაპ., შამპანის ღვინო—3 მან. ბოთლი და სხვ.

(25—4)

პირუტყვთა დამცველი თფილისის საზოგადოება მოწვეულნი არიან საზოგადოების ჩვეულებრივ სხდომაზედ 20 მარტს საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზე სამეურნეო საზოგადოების სადგომში, ბაღში.

ამასთანავე საზოგადოების წევრთა სთხოვენ, რომ საწევრო ხვედრი ფული წარუდგინონ საზოგადოების ხაზინადარს კასუმოვს, კანტორაში, ბაღის პირ-და-პირ, თუმანოვის სახლებში.

(3—3)

საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობა აცხადებს, რომ ის უნიშნავს **ოთხს ჯილდოს** იმათ, ვინც კი შემდეგს სახელმძღვანელოებს შეადგენს სასოფლო შკოლებში სახმარებლათ.

1. **ას ორმოც-და-ათ მანეთს** ელემენტარული არითმეტიკის შემადგენელს.

2. **სამას** მანეთს პირველ-დაწყებითი გეოგრაფიის კურსის შემადგენელს.

3. **სამას** მანეთს საქართველოს ისტორიიდამ ადვილათ საკითხავი ამბების შემადგენელს.

და 4. **ორას** მანეთს ბუნების მეტყველებიდამ ადვილათ საკითხავი ამბების შემადგენელს.

შემადგენელები არ უნდა დაბრკოლდნენ ამ სახელმძღვანელოებში სახმარებელის სურათების შესახებ, რადგან მმართველობა თითონ იკისრებს ამ სურათების დაბეჭდვას.

ჯილდოს მიღება ვისაც სურს, თავისი სახელმძღვანელო უნდა წარმოადგინოს 1 თებერვლამდე 1881 წ. თითონ სახელმძღვანელო უნდა იყოს ერთს პაკეთში და ზედ დევიზი ანუ პსევდონიმი ეწეროს რამე. მეორე პაკეთში იქნება სახელი და გვარი შემადგენელისა და იგივე დევიზი ანუ პრევდონიმი. ჯილდო მიეცემა იმ ავტორს, რომლის თხზულება სხვებზი უკეთესი აღმოჩნდება.

(9—9)

სავაჭრო სახლი

იაგორ კასუმოვი და ამხ.

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ვისაც 1 და 2 **შინაგანი სესხის ბილეთების** ყიდვა ჰსურს, შეუძლიან მიმართოს ამხანაგობის მთავარ კანტორაში, სადაც ეს ბილეთები კარგის პირობებით იყიდება. მსყიდველს შეუძლიან ნაწილ-ნაწილად დრო-გამოშვებით შემოიტანოს კანტორაში ფული დაწერილებით პირობების შეტყობა თვითონ კანტორაში შეიძლება.

(10—6)

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობა" სთხოვს იმ პირთა, რომელთაც უნდათ საზოგადოების წევრათ შემოსვლა, გამოგზავნონ საზოგადოების კანცელიარიაში წევრათ შემოსვლის სურვილის განცხადება და მასთან ერთად საწევრო ფული 6 მანეთი. მაისის საზოგადოების საერთო ყრილობამდინ ისინი იქნებიან საზოგადოების კანდიდატებათ ჩარიცხულნი.

კანცელარიის ადრესი არის: **Тифлисъ. Канцелярія Общества грамотности. На Давидовской улицѣ, № 20.**

(6—6)

დროება-ივერია

ამ 1880 წლიდამ შეერთებულის რედაქციით გამოდის.

გაზეთი **„დროება"** გამოვა მუდამ დღე, ორშაბათსა და უქმეების შემდეგ დღეებს გარდა, საშუალის თაბახით. გაზეთში იბეჭდება ტელეგრამმები (პირველ დღესვე) და სახაზინო განცხადებანი (ინტენდანტსტვოსი, პრიკაზისა და სხვ.)

ჟურნალი **„ივერია"** გამოდის სამს თვეში ერთხელ სივრცით თორმეტი დიდი თაბახი.

ხელის-მოწერა მიიღება მხოლოთ რედაქციაში: ერევნის მეიდანზე, შუაბაზრის თავში, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: *Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба"-„Иверіи"*.

	წლიწ.	6 თვე	3 თვე.
ფასი „დროება" და „ივერია" ერთად	— 13 მ.	— 7 მ.	— 4 მ.
ცალკე: „დროება"	— 9 „	— 5 „	— 3 „
„ივერია"	— 6 „	— 4 „	— 2 „

ცალკე ნომერი „დროებისა" — 5 კაპ.

ცალკე ნომერი „ივერიისა" — 2 მან.

სხვა ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხვედრი ფასი ჟურნალ-გაზეთისა ხელის-მომწერმა დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

გრ. ჩარკვიანის

ქართული წიგნის მაღაზიაში იყიდება

ქართული კალენდარი

1880

ფასი ორი შაური

Дозволено цензурою. Тифлисъ 18 Марта 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი